**iakob gogebaSvilis**
**saxelobis Telavis**
**saxelmwifo universiteti**

**Telavi**
**qarTuli universitetis q. #1**

tel: **0 350 27 24 01**

faqsi: **0 350 27 32 64**

veb-gverdi: **www.tesau.edu.ge**

sakontaqto piri: **neli cqitiSvili** tel:

**TariRi** – 4 მარტი

**dro** _ 12 saaTi

**adgili** – Telavis saxelmwifo universiteti;

**monawileebi:**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სკოლების ხელმძღვნელები, პედაგოგები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, მშობლები;

***თესაუში სწავლის შანსი 860 აბიტურიენტს ექნება***

**ღია კარის დღე თესაუში**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ღია კარის დღე“ გაიმართება.
მასში მონაწილეობენ საჯარო სკოლების პედაგოგები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები. უნივერსიტეტი გამართავს პრეზენტაციას არსებულ სასწავლო გარემოსა და პროგრამებზე.
თესაუში ფუნქციონირებს ხუთი სკოლა (ყოფილი ფაკულტეტები): ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; აგრარულ მეცნიერებათა ; სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; განათლების. თითოეული მათგანი ღია კარის დღეზე წარმოადგენს საბაკალავრო და პროფესიულ პროგრამებს.
სკოლების დეკანები ამომწურავ პასუხს გასცემენ ყველა იმ შეკითხვას, რაც აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს დააინტერესებს. მათ მიეცემათ შესაძლებლობა დაათვალიერონ და უშუალოდ გაეცნონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას - სასწავლო აუდიტორიებს, კომპიუტერულ და უცხო ენების შემსწავლელ ცენტრებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას და ა.შ.
2012-2013 სასწავლო წელს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ოც საბაკალავრო პროგრამაზე და 860 ადგილზე გამოაცხადა მიღება.